დუშეთის მაცნე

№1 (119)
14 თებერვალი
2025 წელი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენი. ვრცელდება უფასოდ

2

2–3

მიხეილ ყაველაშვილი: „ჩვენ ერთად დგომით შეგვიძლია საბოლოოდ ავაშენოთ ერთიანი, ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც თითოეული ქართველის გულში ცოცხლობს!”

ჩარგალში მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა

3



დაბა ჭინვალს ახალი სპორტული მოედანი ექნება

3

წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს

4

მიხა ხელაშვილის საიუბილეო წელთან დაკავშირებით

4

6

მოიპოვეს ლიცენზია

შემოქმედებითი წრეები, სადაც მოსწავლეებს უფასოდ სწავლის შესაძლებლობა აქვთ

6

დუშეთის იაკობ ტრიპოლსკის სახელობის სახალხო თეატრი

8

ირაკლი კობახიძე: „ჩვენი მთავრობის პირობებში, ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ბიზნესისთვის მეგობრული გარემოს შექმნასა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებაში...”

„ჩვენი მთავრობის პირობებში, ქვეყანამ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია ბიზნესისთვის მეგობრული გარემოს შექმნასა და ეკონომიკური შესაძლებლობების გაფართოებაში.

საქართველოს ხელსაყრელი სავაჭრო ჩარჩო საშუალებას აძლევს კომპანიებს, ისარგებლონ 2.3 მილიარდ მომხმარებლიანი ბაზრით, რასაც არ ახლავს საბაჟო თუ იმპორტის ტარიფები.

მსოფლიო ბანკის ბიზნესგარემოს კვლევით, საქართველო 2024 წელს 50 ქვეყანას შორის პირველ სამეულში აღმოჩნდა სინგაპურთან და ესტონეთთან ერთად. ამ კვლევისა და რეიტინგის მიზანია კერძო სექტორის განვითარებისათვის ბიზნესგარემოს რაოდენობრივი და ხარისხობრივი შეფასება.

მსოფლიო ბანკის 2023 წლის სამეწარმეო კვლევით შედეგებით, საქართველოს ბიზნესგარემო თითქმის ყველა ასპექტში უკეთესია როგორც მსოფლიოს, ისე ევროპის და ცენტრალური აზიის საშუალო მონაცემებთან შედარებით.

გარდა ამისა, მსოფლიო ბანკის თანახმად, საქართველო რჩება მსოფლიოს ყველაზე დაბალი საგადასახადო წნეხის მქონე მესამე ქვეყანად, 9.9%-ით.

ფრეიზერის ინსტიტუტის 2024 წლის მსოფლიოს ეკონომიკური თავისუფლების კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოში 21-ე ადგილზეა, წინ უსწრებს ევროკავშირის 19 წევრ სახელმწიფოს და უპირობო ლიდერად გვევლინება ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებს შორის, ისევე, როგორც ფართო რეგიონში. გარდა ამისა, საერთაშორისო საბიუჯეტო პარტნიორობის მიერ ჩატარებული სახელმწიფო ბიუჯეტის ღიაობის კვლევის მიხედვით, საქართველო მსოფლიოს პირველი ქვეყანაა საბიუჯეტო გამჭვირვალობის ნიშნით.

საინვესტიციო პოლიტიკის შეფასების საფუძველზე, საქართველო პირველად მოექცა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) უცხოური პირდაპირი ინვესტიციების შეუზღუდავი რეგულირების ინდექსში და კვლავ მე-8 პოზიცია დაიკავა მსოფლიოს ყველაზე ღია ეკონომიკებს შორის ინვესტიციების მოზიდვის კუთხით.

ჰერითიჯის ფონდის 2024 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში საქართველო წინ უსწრებს 19 სახელმწიფოს ევროპაში.

მსოფლიო სამართლის პროექტის 2024 წლის ინდექსში, საქართველო პირველ ადგილზეა აღმოსავლეთ ევროპასა და ცენტრალურ აზიაში. საშუალო შემოსავლის მქონე 41 ქვეყანას შორის საქართველო პირველ შვიდეულშია. რაც შეეხება ანტიკრიმინოგენურ ინდექსს, საქართველო ევროპაში მე-8, ხოლო მსოფლიოში 20-ე ადგილზეა 2024 წლის მონაცემებით, როგორც ერთ-ერთი ყველაზე უსაფრთხო ქვეყანა.

საქართველო ბუნებრივ კავშირს წარმოადგენს ერთის მხრივ ევროპას, ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიას შორის, ხოლო მეორეს მხრივ ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიასთან. საერთაშორისო დაკავშირებადობა და მარშრუტები იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საქართველო გახდეს მთავარი კვანძი და ციფრული ჰაბი ევროპა-აზიის მიმართულებით. შავი ზღვით ევროკავშირთან საზღვრის გაზიარებით, საქართველო წარმოადგენს ერთადერთ გზას საშუალოვადიან პერიოდში, რომლითაც მონაცემთა დერეფნების განვითარება შეუძლია ევროპას ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ აზიას შორის, ხოლო საშუალო და გრძელვადიან პერიოდში - ევროპას, ცენტრალურ და აღმოსავლეთ აზიას შორის.

საქართველოს მთავრობა მიესალმება ინვესტიციებს არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან და მსხვილი დეველოპერული და ლოგისტიკური კომპანიების დაინტერესებას საქართველოში ინვესტირების თვალსაზრისით. აბუ-დაბის პორტების გაერთიანებამ ხელი მოაწერა მემორანდუმს საქართველოსთან თბილისში მშრალი პორტის შესაქმნელად, ლოგისტიკისა და ინტერმოდალური ტრანსპორტირების მიმართულებით საკუთარი გამოცდილების გამოყენებით. ამ ინიციატივის მიზანია, თბილისი გადაიქცეს სტრატეგიულ შიდა კვანძად, რომელიც შავ ზღვაზე საქართველოს პორტებს დაუკავშირებს ფართო რეგიონის სავაჭრო ქსელებთან.

მშვიდობიანი და სტაბილური განვითარების პროცესი გაგრძელდება ჩვენს ქვეყანაში, რაც პროგრესისა და მდგრადობისადმი ჩვენი ერთგულებით არის განპირობებული. ეს მიღწევები ხაზს უსვამს საქართველოს პოტენციალს მეტად ძლიერი, დინამიური და მომავალზე გათვლილი ეკონომიკის შესაქმნელად.

არაბთა გაერთიანებული საამიროები ეკონომიკური წარმატების გამორჩეულ მაგალითს წარმოადგენს. ეს არის ქვეყანა, რომელმაც ინოვაცია, გამძლეობა და მდგრადი ზრდა უზრუნველყო. მისი პროგრესი არის ღირებული მოდელი, რომელიც აძლიერებს იდეას, რომ სტრატეგიულ ხედვას და მიზანსწრაფულობას შეუძლია ხანგრძლივი კეთილდღეობის უზრუნველყოფა...“

წყარო - მთავრობის ადმინისტრაციის პრესსამსახური

მიხეილ ყაველაშვილი: „ჩვენ ერთად დგომით შეგვიძლია საბოლოოდ ავაშენოთ ერთიანი, ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც თითოეული ქართველის გულში ცოცხლობს!”

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად, პარლამენტის საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე ყოველწლიური მოხსენებით წარდგა.

„ახალი წესით ჩატარებული პრეზიდენტის არჩევნების შემდგომ, საქართველო გახდა სრულფასოვანი საპარლამენტო რესპუბლიკა, რომლის ფარგლებშიც კონსტიტუციით მონიჭებული უფლებამოსილებით, თითოეული ინსტიტუტის წარმომადგენელმა, მჭიდრო კოორდინაციითა და თანამშრომლობით, მაქსიმუმი უნდა გავაკეთოთ ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ“, - აღნიშნა მიხეილ ყაველაშვილმა.

ქვეყნის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე საუბრისას, საქართველოს პრეზიდენტმა განმარტა, რომ ქართველი ხალხი დღეს სახელმწიფოებრიობის გამოცდის მნიშვნელოვან ეტაპს გადის.

„ქართველებმა, ზუსტად ვიცით, რა პრინციპებისა და ღირებულებების დაცვა გვევალება, რას უნდა მოვუფრთხილდეთ და როგორი საქართველო ავაშენოთ. საბედნიეროდ, ამ რთულ პერიოდში ჩვენი სახელმწიფო და ქართველი ხალხი ერთად დგას ქვეყნის სადარაჯოზე“, - განაცხადა მიხეილ ყაველაშვილმა.

მისი თქმით, 26 ოქტომბერს ქართულმა საზოგადოებამ აირჩია მშვიდობა და განვითარება, ტრადიციების, ღირებულებების, სარწმუნოების, ოჯახისა და ღირსების დაცვა და სურთ თუ

გვ.3 →

გვ.2 → არა საქართველოს არაკეთილმოსურნე ძალებს, მათ მოუწევთ პატივი სცენ ქართველი ხალხის უმრავლესობის არჩევანს.

საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, ქვეყნის ეკონომიკური ზრდა კვლავ წარმატებით გრძელდება, საქართველო ყოველწლიურად უფრო და უფრო მიმზიდველი ხდება ინვესტორებისთვის და რომ არა მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა, ეს ყველაფერი შეუძლებელი იქნებოდა.

როგორც მიხეილ ყაველაშვილმა აღნიშნა, თითოეული ჩვენგანი კარგად უნდა აცნობიერებდეს, რომ სამშვიდობო პოლიტიკა, ეკონომიკური წარმატებები და კეთილდღეობის მაღალი დონე არის ის მნიშვნელოვანი ფაქტორები, რაც განსაკუთრებით გვაახლოებს ჩვენს აფხაზ და ოს და-ძმებთან და ამ გზას ალტერნატივა არ გააჩნია.

„მჯერა, ჩვენ მალე შევძლებთ ერთად მოვიშუშოთ ომის იარები და გავაგრძელებთ ბედნიერ თანაცხოვრებას ერთიან, ძლიერ და აყვავებულ საქართველოში“, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მისი თქმით, სამწუხაროა, რომ ბოლო პერიოდში საქართველო უსამართლო თავდასხმის სამიზნე არაერთი ევროპელი პარტნიორის მხრიდანაც გახდა.

„განსაკუთრებით გულდასაწყვეტია ეს იმ სივრციდან, საითკენაც სვლა ქართველმა ხალხმა სამართლიანობის, ურთიერთპატივისცემის, კანონის უზენაესობის დაცვის, ეროვნული იდენტობისა და სუვერენულობის შენარჩუნების იმედით გადაწყვიტა. ორმაგი სტანდარტი, რომელიც საქართველოსთან მიმართებაში ფაქტობრივად ყოველდღიურობად იქცა, სამწუხაროდ, ზიანს აყენებს ევროპულ ღირებულებებსა და ევროპელი პარტნიორების რეპუტაციას“, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ ყაველაშვილი ყოველწლიურ მოხსენებაში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად დონალდ ტრამპის არჩევასაც გამოეხმაურა და იმედი გამოთქვა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გადატვირთვა და ნორმალიზება მოხდება.

„დონალდ ტრამპის გამარჯვების შემდგომ, დაიწყო ფსევდოლიბერალური წესრიგის ცვლილება მსოფლიოში, ამას დონალდ ტრამპის ეფექტს დავარქმევდი, ღირებულებებისა და მსოფლმხედველობის ასეთი თანხვედრა მაძლევს რწმენის საფუძველს, რომ მოვახერხებთ ურთიერთობების გადატვირთვას აშშ-სთან“, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

მიხეილ ყაველაშვილმა სიტყვით გამოსვლისას ყურადღება გაამახვილა ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სპორტის პოპულარიზაციის მნიშვნელობაზე, ასევე, კულტურის სფეროს როლზე.

მისი თქმით, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს დემოგრაფიული საკითხები.

პრეზიდენტმა საქართველოს საპატრიარქოს და კათოლიკოს-პატრიარქს ერის გადასარჩენად გაწეული ღვაწლისთვის მადლობა გადაუხადა.

მიხეილ ყაველაშვილმა მოხსენების დასასრულს აღნიშნა, რომ განსხვავებულობის მიუხედავად, ყველა ერთად უნდა დადგეს და დაიცვას ჩვენი ღირებულებები.

„ჩვენ ერთად დგომით შეგვიძლია საბოლოოდ ავაშენოთ ერთიანი, ძლიერი და დამოუკიდებელი საქართველო, რომელიც თითოეული ქართველის გულში ცოცხლობს!“ - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა საქართველოს პრეზიდენტს მნიშვნელოვანი გზავნილებისთვის მადლობა გადაუხადა.

„მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ გადავხედოთ გასულ წელს, შევაჯამოთ ის, თუ რა ვითარებაში მოუწია ჩვენს ქვეყანას მართლაც და გადარჩენის ვიწრო ბილიკზე გასვლა. მადლობა ამ შეფასებისთვის და ასევე, იმ მომავალი ხედვისთვის, რომელიც მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ქვეყანას ჰქონდეს ყველა მიმართულებით“, - აღნიშნა შალვა პაპუაშვილმა.

პარლამენტში საქართველოს პრეზიდენტის ყოველწლიურ მოხსენებას ესწრებოდნენ: საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე, მთავრობის წევრები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელმძღვანელი პირები, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, დედაქალაქის მერი და საკრებულოს თავმჯდომარე, საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენლები.

წყარო - parliament.ge

სახელმწიფო რწმუნებულმა მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელ პირებთან სამუშაო შეხვედრა გამართა

მცხეთა-მთიანეთის მხარის სახელმწიფო რწმუნებულის, დავით ნოზაძის ხელმძღვანელობით, მცხეთის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრის ფარგლებში მხარეებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესახებ იმსჯელეს. საუბარი შეეხო გასულ წელს განხორციელებულ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს, გარდამავალ პროექტებს, მიმდინარე წელს დაგეგმილ ღონისძიებებსა და პრიორიტეტებს. ყურადღება გამახვილდა სოციალური, კულტურული და სპორტული მიმართულების აქტივობებზეც. ასევე ხაზი გაესვა რეგიონის მასშტაბით არსებულ საჭიროებებსა და მათი მოგვარების გზებს.

„2024 წელს, რეგიონის მასშტაბით, წარმატებით არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი დასრულდა, თუმცა ვიცით, რომ გარკვეული პრობლემები კვლავ რჩება. ამიტომ, სათანადო ღონისძიებებს, ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერითა და ადგილობრივი თვითმმართველობის კოორდინირებული მუშაობით, კვლავ აქტიურად გავაგრძელებთ. მნიშვნელოვანია, რომ სამომავლოდ, ყველა ინფრასტრუქტურული პროექტი, მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით, დროულად და ხარისხიანად შესრულდეს“, - აღნიშნა დავით ნოზაძემ.

სამუშაო შეხვედრას, რომელიც სამხარეო ადმინისტრაციაში სისტემატურად იმართება, ასევე ესწრებოდნენ სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

წყარო - mtskheta-mtianeti.gov.ge

ჩარგალში მოსახლეობასთან შეხვედრა გაიმართა

მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ნოზაძე და მხარის დელეგატი დიმიტრი ხუნდაძე, დუშეთის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელ პირებთან - მერთან მანანა ნარიმანიძესთან და საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ჩიტაურთან ერთად - სოფელ ჩარგლის მოსახლეობას შეხვდნენ.

შეხვედრაზე განიხილეს როგორც ამჟამად განხორციელებული ღონისძიებები, ასევე - დაგეგმილი ინფრასტრუქტურული და სოციალური აქტივობები. ამასთან, საუბარი შეეხო მოსახლეობისათვის პირადი მოხმარების მიზნით საშეშე და სამასალე მერქნის გაცემის საკითხს და ამ ეტაპზე სოფელში არსებულ სხვა საჭიროებებს.

გარდა ამისა, შეხვედრის მონაწილე მხარეებმა იმსჯელეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამა 2025-ის ფარგლებში დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების თაობაზე. სოფლის მოსახლეობის ერთობლივი გადაწყვეტილებით, პრიორიტეტულ საპროექტო წინადადებად ხევზე გადასასვლელი ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები დასახელდა.

აღსანიშნავია, რომ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, საერთო კრებები უკვე დასრულდა, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების გაცნობის მიზნით, მათთან შეხვედრები მომავალშიც კვლავ ინტენსიურად გაგრძელდება.

წყარო - mtskheta-mtianeti.gov.ge

საკრებულოს სხდომის გადაწყვეტილებით

31 იანვარს გაიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ ჩიტაური უძღვებოდა. სხდომაზე განიხილეს და მიიღეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. დადგენილების პროექტი - „დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის და საკრებულოს აპარატის პროფესიულ მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

2. განკარგულების პროექტი - დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ა(ა)იპ „საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისთვის“ სარგებლობაში უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

3. განკარგულების პროექტი - დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

4. დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

5. დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

6. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩანადირთკარში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ;

7. დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

8. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩუბინიანთკარში მდებარე მე-16 ქუჩის გაგრძელების შესახებ.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა 12 თებერვალს გაიმართა. ამჯერად მიღებულ იქნა ერთი საკითხი, კერძოდ - „დუშეთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 13 დეკემბრის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დაბა ჟინვალს ახალი სპორტული მოედანი ექნება



დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალში მცხოვრებ ახალგაზრდებს შესაძლებლობა ექნებათ, თანამედროვე სტანდარტების ახალი სპორტული მოედნით ისარგებლონ.

საქართველოს პარლამენტის წევრის, მცხეთა-მთიანეთის დელეგატის - დიმიტრი ხუნდაძის ფეისბუკგვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, სპორტული მოედნის მშენებლობისთვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან 700 000 ლარამდე გამოიყო. მისი მშენებლობა აქტიურად მიმდინარეობს და ამ წელს დასრულდება.

სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს შეუწყობს ადგილობრივ ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, რომელზე ზრუნვაც ხელისუფლების მიერ მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

მიხა ხელაშვილის საიუბილეო წელთან დაკავშირებით

სოფელ ჩარგალში სახალხო პოეტის, ქაქუცა ჩოლოყაშვილის „შეფიცულთა რაზმის" წევრის, საქართველოს ეროვნული გმირის, მიხა ხელაშვილის დაბადების 125-ე და გარდაცვალების მე-100 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა.

თარიღთან დაკავშირებით, შეკრებილ საზოგადოებასთან ერთად, მიხა ხელაშვილის საფლავზე იმყოფებოდნენ და ეროვნული გმირის ხსოვნას პატივი მიაგეს მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო რწმუნებულმა დავით ნოზაძემ, მისმა მოადგილეებმა, ახალგაზრდობის საააგენტოს ხელმძღვანელმა ვახტანგ ბაკაშვილმა, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებმა.

ღონისძიების ფარგლებში, თიანეთისა და ფშავ-ხევსურეთის ეპისკოპოსმა, მეუფე მიქაელმა, სხვა სასულიერო პირებთან ერთად, მიხა ხელაშვილის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადა. ანსამბლმა „ლაშარელამ" რამდენიმე სიმღერა შეასრულა, ხოლო ადგილზე შეკრებილმა პოეტებმა, მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა ეროვნული გმირის ლექსები წაიკითხეს და მის შესახებ ისაუბრეს. ასევე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა 25 სარიტუალო გასროლა შეასრულა.

„მიხა ხელაშვილმა, ხანმოკლე ცხოვრების მიუხედავად, თავისი პოეზიით, პატრიოტიზმითა და თავდადებით მნიშვნელოვანი კვალი დატოვა როგორც ხალხურ შემოქმედებაში, ასევე ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ის ქვეყნის ერთიანობისთვის იბრძოდა, მაგრამ სამშობლოს სიყვარული არ აპატიეს და 25 წლის ასაკში მუხანათურად მოკლეს, თუმცა მის სახელს ვერაფერი ავნეს. მიხა ხელაშვილის ხსოვნა მარადიული უნდა იყოს. ჩვენი ვალია, რომ ახალგაზრდებს ამ უდიდესი ქართველის თავდადებისა და შემოქმედების შესახებ ბევრი ვუამბოთ და სწორედ მის მაგალითზე აღვზარდოთ მომავალი თაობა.

სასიხარულოა, რომ ყოველწლიურად, 25 იანვარს ჩარგალში უფრო და უფრო მეტი ადამიანი, მათ შორის ბევრი ახალგაზრდა იკრიბება, რა თქმა უნდა, ამ ტრადიციას მომავალშიც გავაგრძელებთ და ჩვენი ეროვნული გმირის ხსოვნას პატივს ყოველთვის სათანადოდ მივაგებთ," - განაცხადა დავით ნოზაძემ.



წყარო - mtskheta-mtianeti.gov.ge

წიგნის საჯაროდ კითხვის დღეს

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის ორგანიზებით წიგნის საჯაროდ კითხვის დღე ჩვენთანაც აღინიშნა:

3 თებერვალს იაკობ ტრიპოლსკის სახელობის სახალხო თეატრის მსახიობებმა ი.ზაქაიძის სახელობის დუშეთის კულტურის სახლში ბავშვებისათვის ქართული ხალხური ზღაპრები წაიკითხეს.

ღონისძიებას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერი მანანა ნარიმანიძე, რომელმაც ისაუბრა წიგნის მნიშვნელობაზე და ბავშვებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

როგორც ცნობილია, „წიგნის საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღეს“ 100-ზე მეტ ქვეყანაში აღნიშნავენ.

ძვირფასო მკითხველო,



ჩვიდმეტი წელია, **„დუშეთის მაცნე“** გამოიცემა. ამ ხნის მანძილზე უამრავი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, ერთად გვიხაროდა და გვტკიოდა დუშეთის ცხოვრების სიახლეები, პრობლემები, ყველაფერი, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებდა და აკეთებს... და ეს საინფორმაციო ბიულეტენიც ხომ იმისათვის არსებობს, რომ თქვენი სათქმელი ხელისუფლებამდე მიიტანოს და, პირიქით, მათი გადაწყვეტილებები და ნაფიქრი გაგიზიაროთ.

სურვილი გვაქვს, კვლავაც ერთად ვიაროთ, გავუზიაროთ ერთმანეთს ტკივილიც და სიხარულიც. ამიტომაც გთხოვთ, მოგვწეროთ, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება თქვენ მიერვე არჩეული ხელისუფლების მუშაობისადმი, იმ პროექტების მიმართ, რომელიც ბოლო პერიოდში ხორციელდება დუშეთში. შევეცდებით, კვლავაც აქტიურად გავაშუქოთ ის საკითხები, რომლებიც გაინტერესებთ. რედაქცია ელის თქვენს წერილებსა და გამოხმაურებას.

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N2

2025 წლის 31 იანვარი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მე-17 ქუჩის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება გადაიგზავნოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნდეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N3

2025 წლის 31 იანვარი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის დუშეთის ადმინისტრაციული ერთეულის ქალაქ დუშეთში მდებარე უსახელო ქუჩას მიენიჭოს მე-18 ქუჩის სახელი თანდართული რუკის შესაბამისად.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება გადაიგზავნოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნდეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, კანონით დადგენილი წესით, მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N5

2025 წლის 31 იანვარი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩანადირთკარში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩანადირთკარში მდებარე უსახელო ქუჩებს მიენიჭოს 35 -ედა 36-ე ქუჩების სახელები თანდართული რუკის შესაბამისად.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება გადაიგზავნოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნდეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.მცხეთა, სამხედროს ქუჩა N 17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება N7

2025 წლის 31 იანვარი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩუბინიანთკარში მდებარე მე-16 ქუჩის გაგრძელების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე.“ ქვეპუნქტის და „გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ჩუბინიანთკარში მდებარე მე-16 ქუჩა გაგრძელდეს თანდართული რუკის შესაბამისად.

2. დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიამ ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. განკარგულება გადაეგზავნოს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, სსიპ – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

4. განკარგულება გადაიგზავნოს საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში და გამოქვეყნდეს მიღებიდან 10 დღის ვადაში.

5. განკარგულება ძალაში შედის გამოქვეყნებისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში კანონით დადგენილი წესით მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქუჩა №17).

საკრებულოს თავმჯდომარე *კახაბერ ჩიტაური*

შემოქმედებითი წრეები, სადაც მოსწავლეებს უფასოდ სწავლის შესაძლებლობა აქვთ

ა(ა)იპ „დუშეთის მუნიციპალიტეტის კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის“ დაქვემდებარებაში არსებულ სტრუქტურულ ერთეულებში ფუნქციონირებს უფასო სასწავლო წრეები:

ილია ზაქაიძის სახელობის დუშეთის კულტურის სახლი

- ტრადიციული ქართული ხალხური რეწვის წრე;
- ქართული ხალხური-ტრადიციული სიმღერის წრე;
- მეტყველებისა და ლიტერატურის წრე;
- კამერული (ვოკალური) გუნდი - მუსიკალური ინსტრუმენტების შესწავლა:
  - კლასიკური გიტარა
  - ბას გიტარა
  - სოლო გიტარა
  - დრამი
  - კლავიში
  - პერკუსია
- საბავშვო ბენდი;
- დოლის შემსწავლელი წრე;
- გარმონის შემსწავლელი წრე;
- ქართულ-ხალხურ საკრავთა ინდივიდუალური შემსწავლელი წრე;

ქ. დუშეთის სახელოვნებო სკოლა

- ვოკალური წრე;
- გამომეტყველებითი კითხვის წრე (კითხვა და სამეტყველო რგოლი, ლექსები და ტექსტებზე ვარჯიში);
- ჟურნალისტიკის წრე;
- ქსოვისა და ქარგვის წრე;
- დუშეთის სახელოვნებო სკოლის ანსამბლი „ჟამიერი''

ისწავლება ქართულ-ხალხური საკრავები:

- სალამური
- ფანდური
- ჩონგური
- ბას-ფანდური
- ჩანგი
- დოლი
- ქართული ენისა და ლიტერატურის წრე;
- ხატვის წრე

სოფელი არაგვისპირი

- ქორეოგრაფიული წრე;

ფასანაური. კულტურის სახლი

- ქორეოგრაფიული წრე;

ჟინვალის კულტურის სახლი

- ხატვის წრე;
- ქართული ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრე;
- ქართულ-ხალხური ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი;
- ქართულ-ხალხური ცეკვის შემსწავლელი წრე;

სოფელი ბარისახო

- ქართულ-ხალხური ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი;

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ ადმინისტრაციას -

ადმინისტრაციის საკონტაქტო ინფორმაცია:

☎ 598701601 598087735
MAIL: kultsaganmanatlebloo@gmail.com

მისამართი: ქ. დუშეთი, კოსტავას ქ. N-34.

(ყოფილი სამუსიკო სკოლის შენობა)

მოიპოვეს ლიცენზია

დუშეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანების ჭიდაობის კლუბის სპორტსმენებმა სარეიტინგო ტურნირებზე მონაწილეობის მისაღებად ლიცენზია მოიპოვეს. ესენი არიან:

მამუკა კობიაშვილი,
ლაშა წიკლაური,
გიგა ბორძიკული,
ლაზარე ჯიქური,
მახო დურგლიშვილი,
რატი ბურდული,
ლუკა ჩოხელი,
გუგა ბიჩნიგაური,
ნოდარ ყარსიმაშვილი,
ლუკა ცქიმანაური,
ბერდია ჭინჭარაული,
გიგა ჩოხელი,
ერეკლე ქერაული,
ლაშა ჩანადირი,
გიორგი ფრიდონაშვილი,
ცოტნე ძგიბაშვილი,
გიორგი ფეიქრიშვილი,
დაჩი ჯაბანაშვილი.

საინფორმაციო ბიულეტენი „დუშეთის მაცნე”

ინტერნეტითაც ხელმისაწვდომია

მკითხველს საშუალება ეძლევა, ელექტრონულ ვერსიას გაეცნოს Facebook-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გვერდზე.

ქ. დუშეთის გენერალური გეგმის შემუშავებისთვის

დუშეთის მუნიციპალიტეტის ვებგვერდის (dusheti.gov.ge) ინფორმაციით, ქ. დუშეთის გენერალური გეგმის შემუშავების სამუშაოები გრძელდება. აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა მანანა ნარიმანიძემ სამუშაო შეხვედრა გამართა შპს „ბაუ დიზაინის“ წარმომადგენლებთან.

ეტაპი 3 - გენერალური გეგმის კონცეფცია - „როგორ ვაქციოთ ხედვა რეალობად?“

ეტაპი 4 - ქალაქ დუშეთის გენერალური გეგმის საბოლოო ვერსია - გეგმის პროექტის საბოლოო ვერსია გრაფიკული და ტექსტური მასალებით ასახავს „როგორ განვახორციელოთ გეგმა“, დასახული მიზნების განხორციელებისათვის საჭირო საპროექტო გადაწყვეტებს, განაშენიანების განვითარების პირობებს - რეგლამენტსა და გეგმების იმპლემენტაციის გზამკვლევს.

დუშეთის მუნიციპალიტეტსა და შპს „ბაუ დიზაინს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, ქალაქ დუშეთის გენერალური გეგმის შემუშავების საპროექტო მომსახურების ღირებულება 584100 ლარია.

ქალაქ დუშეთის გენერალური გეგმის შემუშავების სამუშაოები ოთხ ეტაპს მოიცავს:

ეტაპი 1 - მოსამზადებელი სამუშაოები;

ეტაპი 2 - განვითარების ხედვა, განვითარების სტრატეგია და სიცოცხლისუნარიანობის შეფასება, „როგორ ვხედავთ ქალაქ დუშეთს 2035 წელს და როგორ მივაღწიოთ სასურველს?“

მანანა ნარიმანიძემ მერიის შესაბამისი სამსახურისა და შპს „ბაუ დიზაინის“ წარმომადგენლებთან ერთად განიხილა ქ. დუშეთის გენერალური გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებით ყველა დეტალი.

დასასრულ, მხარეებმა რეკომენდაციები გაუზიარეს ერთმანეთს და აქტიურ თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.

სამუშაო შეხვედრას ასევე ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ოთარ ჩხეიძე.

წარსული მომავლისათვის

ჭილაშვილები და მათი სასახლე

„დუშეთის ბოლოს, სოფ. მილახვრიანთ კარში, დაახლოებით ერთ კილომეტრზე დუშეთის ფოსტის სადგურის მახლობლად, თავიანთ თეთრ ციხე-სასახლეში (ВЕЛЫЙ ЗАМОК) ცხოვრობდნენ ჭილაშვილები. ეს სასახლე აშენებულია 1801 წელს. როგორც ჩანს, ალაყაფის კარის თავზე ჩასმული მარმარილოს ქვაზე წარწერიდან: „ყოვლისა სა-

ქართველოს მეფისა ირაკლისა მეორისა ძისა ვახტანგისა ალმასხანისა გულითამან მონამან ჭილაძემან ბაბანას შვილმან მილახვარმან სამთა თემთა მოურავმა და რუსეთის გზისა მცველმან გლახამან ავაშენე ციხე და გალავანი ესე და მის შინა სახლი ღვთისა და სახლიცა ჩემნი მივარგვალენ, რათა მას შინა იდიდებოდეს ღმერთი და მის მიერ იცვებოდენენ შვილნი და სახლეურნი ჩემნი. სრულ იქნა მაისის კბ ჩყა“ (1801წ).

ჭილაშვილები დუშელები არ იყვნენ. ვიღაცა ჭილაძე გადმოსულა იმერეთიდან, სადაც ისინი თავადებად ითვლებოდნენ. ბაბანა ჭილაძის შვილი გლახა (გაბრიელი) ყოფილა ვახტანგ ბატონიშვილის - ალმასხანის ამილახვარი, დიდად გავლენიანი პიროვნება, მეფეების - ერეკლე მეორისა და გიორგი მეთორმეტის დროს. მას აბრალებდნენ, სხვათა შორის, საქართველოს სამეფოს მოსპობას. ბატონიშვილის ვახტანგის იძულებით გადასახლების შემდეგ, 1803 წ. რუსეთში, გლახა ჭილაშვილიც თავისი ცოლშვილიანად გაჰყვა მას. მოაწყო სასწავლებელში შვილები და დაბრუნდა. მას ჰყავდა ოთხი ვაჟიშვილი: ბაბანა (ბორისი), იაგორი, კონსტანტინე და შიო (სერგეი). გლახა ჭილაშვილმა საუკეთესოდ დაზარდა შვილები რუსეთში.

ცხადია, მას ეხმარებოდა ქ. პეტერბურგში ბატონიშვილი ვახტანგი. ცნობილია, რომ რუსეთში გადასახლებული ბატონიშვილები კარგად ცხოვრობდნენ. მიღებული იყვნენ რუსეთის იმპერატორების სასახლეში, იღებდნენ დიდ პენსიებს და სხვა.

გლახა ჭილაძის გვარი გადაკეთდა „ჩილაევად“. მისი სიკვდილის შემდეგ მისი შვილები დაბრუნდნენ საქართველოში, გარდა კონსტანტინესი, რომელიც რუსეთში გარდაიცვალა. სამ ძმას ჰყავდათ ერთი და, რომელიც არ წაუყვანიათ გლახასთან, დარჩა საქართველოში და აქ გათხოვდა ამილახვარზე, სოფ. ფხვენისის (ცხინვალთან ახლოს) მემამულეზე.

მას ჰყავდა სამი ქალი: ანასტასია (ტასია), გათხოვილი სამხედრო პირზე - ანდრია ნუდაჟევსკიზე, მეორე - დუბროვსკიზე, ხოლო მესამე, ნინა, რომელსაც ქართულად ეხურა თავი, ესტატე ყიფიანზე, სოფ. წრომის მემამულეზე. ჩვენს ოჯახში ახსოვდათ გლახა ჭილაშვილის ქალის სიტყვები: „სანამ ჩემი ქალები გასათხოვრები არიან, იმათი ნამუსი ჯიბეში მიდევს, როცა გათხოვდებიან, მერე თავიანთ ქმრებმა იციან“.

ილიას დროს გლახას არცერთი ვაჟიშვილი აღარ იყო დუშეთში, ბაბანა (ბორისი) გენერალ-მაიორი, რუსეთში ნასწავლი, მეომარი, მხიარული ადამიანი, საზოგადოებაში მიღებული, გარდაიცვალა 1850 წელს, 49 წლისა. მისი ძმა იაგორი, იურისტი, 1832 წელს. მესამე ძმა, შიო, სამხედრო პირი, ერთ დროს შემახის გენერალ-გუბერნატორი, გარდაიცვალა 1864 წლის აგვისტოში და იქვეა დასაფლავებული. ჩამომავლობა არ დარჩა.

დუშეთში მაშინ ცხოვრობდა ბაბანა ჭილაშვილის ქვრივი, ნინა იაგორის ასული, ტომით სომეხი ქეთხულოვის ქალი, განათლებული (სწავლა მიიღო ქალთა ინსტიტუტში, თბილისში). ქვრივს მამულიდან კარგი შემოსავალი ჰქონდა, იღებდა აგრეთვე პენსიას და, ამის გარდა, ამბობდნენ, რომ ნინა იაგოროვნას, სხვათა შორის, ულამაზო ქალს, დიდი მზითევი მოჰყვაო. ქეთხულოიანნი განთქმული იყვნენ თბილისში სიმდიდრით, სავაჭროდ დაიარებოდენ ევროპაში.

ნინა იაგოროვნას ქალები სამოცდაათიან წლებში გათხოვდნენ, უფროსი - ეკატერინე - მიხეილ ბეჟანის ძე ბუჭყიაშვილზე, სამხედრო პირზე, რომელიც 1877 წელს ოსმალეთის ომში მამაცურად იბრძოდა და ყარსის აღების დროს მოკლეს. მეორე ქალი, ელისაბედი, ითხოვა გაქართველებულმა რუსმა, იოსებ მარტინის ძე სერაფიომოვიჩმა. მისი დედა ჯორჯაძის ქალი იყო.

ბაბანას უფროსი ვაჟი, გაბრიელი, უკვე ოფიცრის ჩინს ატარებდა და თბილისში მსახურობდა. შემდეგში ის იყო გენერალ-ადიუტანტი ივანე გივის ძე ამილახვრისა. გარდაიცვალა 1914 წელს. დასაფლავებულია დუშეთში.

ბაბანა ჭილაშვილის ქვრივი ზამთარში თბილისში ცხოვრობდა, ეკუთვნოდა მაღალ საზოგადოებას, დაიარებოდა თავის ქალებთან ერთად მეფის ნაცვლის სასახლეში ბალებსა და წვეულებებზე.

სხვა ჭილაშვილთაგან ილიას დროს ცნობილი იყო მიხეილ იაგორის - ძე ჭილაშვილი, ერთადერთი ვაჟი იაგორ ჭილაშვილისა. დედამისი პოპოვა იაგორ ჭილაშვილს შეურთავს რუსეთში. მიხეილს (მას ეძახდენ „მიშენკას“) რუსეთში უსწავლია საუკეთესო სასწავლებელში (“училище правоведения“). იგი თბილისში მსახურობდა დიდხანს ტამოჟნიის გამგედ. ჰქონდა ჩინი „Тайный соверик“-ისა, ცოლად ჰყავდა მარიამ მიხეილის ასული შჩერბინინის ქალი, რომელიც მეფისნაცვლის კანცელარიის გამგედ იყო თბილისში, შემდეგში - სენატორი. მიხეილ ჭილაშვილი ცუდად ლაპარაკობდა ქართულად. 1850 წლის 2 იანვარს მ. ვორონცოვის დროს პირველად ითამაშეს გ. ერისთავის პიესა „გაყრა“. მიხეილ ჭილაშვილი ასრულებდა გაბრიელის როლს და უძნელდებოდა ქართულად ლაპარაკი. როგორც ჩანს ქეთევან გიორგის ასულ ორბელიანის მოგონებიდან, რომელიც საფუძვლად დაედო პეტრე უმიკაშვილის ერთმოქმედებიან პიესას - „სამზადისი“ (დადგეს თბილისში 1897 წელს). მარიამ ჭილაშვილი ლამაზი ქალი ყოფილა (კოჭლობდა). მე მინახავს იგი საკმაოდ ხნიერი; მაინც შერჩენოდა სილამაზის ნიშანი. მის სახეს ნახავთ იმ ჯგუფში, რომელიც გადაღებულია 1859 წ. როცა ილიამ სტუდენტობის დროს დადგა თბილისში ცოცხალი სურათები „მეფე ლირიდან“. მარიამ ჭილაშვილი ზის წინა რიგში, ელისაბედის გვერდით.

„მიშენკა“ ჭილაშვილის სურათიც არის ჯგუფში, შესრულებულია ფრანგი მხატვრის - დესენეს მიერ 1851 წელს. მასვე ეკუთვნის ნინა გრიბოედოვას საუკეთესო სურათი, ლევან მელიქიშვილის, ალექსანდრე ბატონიშვილის მეუღლის და შვილის სურათები. ეს უკანასკნელი დაცულია მეტეხის მუზეუმში.

ზემოხსენებულ დიდ ჯგუფში არიან: მიხეილ (მიშენკა) ჭილაშვილი, ვახტანგ ორბელიანი, ლევან მელიქიშვილი, ისაკ თუმანიშვილი, დიმიტრი ყიფიანი და დავით ჭავჭავაძე (დგას ისაკ თუმანიშვილი).

მიხეილ და მარიამ ჭილაშვილები განსაკუთრებით მდიდრულად ცხოვრობდნენ თურმე თბილისში. მათთან დაიარებოდნენ მაღალი წოდების პირნი, უმეტესად რუსები. მათი სადილები განთქმული ყოფილა მთელ ქალაქში. მარიამ მიხეილის ასული სავაჭროდ მივიდოდა ეტლით, მაგრამ მაღაზიაში არ შევიდოდა, იქიდან გამოუტანდნენ საქონლის ნიმუშებს, აირჩევდა და უბრძანებდა სახლში მიტანას და იქ უსწორდებოდა. მიხეილ ჭილაშვილი გარდაიცვალა უშვილოდ ოთხმოციან წლებში. დასაფლავებულია წმ. მარინეს ეკლესიაში, მილახვრიანთ კარში. მისი ქვრივი გადასახლდა პეტერბურგში. იქედან კიდევ ერთხელ ჩამოვიდა და თავისი წილი სახლისა და მამულისა მიჰყიდა ნათესავებს. გარდაიცვალა პეტერბურგში.

მიხეილ იაგორის ძე ჭილაშვილს ჰყავდა ორი და, უფროსი - ნინა და უმცროსი - ელენე. ისინი სწავლობდნენ მოსკოვის ქალთა ინსტიტუტში იმ დროს, როცა ჯერ რკინიგზაც არ იყო რუსეთში. ქართული ენა თითქმის არ იცოდნენ. ნინა ჭილაშვილი გათხოვდა 1845 წელს დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანზე. იმავე წელს უმცროსი და ელენე გაჰყვა ივანე ივანეს ძე ნაზაროვს, რომელიც შემდეგ ერევნის გუბერნატორი იყო.

ზაფხულობით ჭილაშვილები იკრიბებოდნენ თავიანთ მამულში - მილახვრიანთ კარში, ცნობილ თეთრ სასახლეში. ჭილაშვილებს და, უმთავრესად, მიშენსკის მეუღლეს აბრალებდნენ ქ. დუშეთის დაშორებას სამხედრო გზასთან, რომელიც 1859 წლამდე შიგ დუშეთში შედიოდა და გადიოდა ანანურისკენ. ჭილაშვილებისთვის ხელსაყრელი არ იყო ახლო ყოფნა სამხედრო გზასთან, რადგანაც დიდი მოძრაობა იყო ამ გზაზე და ამიტომ ყველა ზომა იხმარეს, რათა დუშეთისთვის ჩამოეცილებინათ ეს გზა. მოახერხეს კიდეც. ახალი ფოსტის სადგური „დუშეთი“ ააშენეს. ჭილაშვილების სასახლის ახლოს ისინი შეშით და წყლით ამარაგებდნენ ფოსტას. კარეტები და „კალიასკები“ პირდაპირ ჭილაშვილების სახლში მოდიოდნენ.

ნაზიროვის ქალები გათხოვილი იყვნენ ისევ რუსებზე, პირველი - მანდრიკაზე და მეორე, მარიამი - ბონდირევზე. პირველი არ მინახავს, გამიგია კი, რომ ძალიან ლამაზი და კეკლუცი ქალი ყოფილა. რაც შეეხება მეორე დას, მარიამ ივანეს ასულს, იმას კარგად ვიცნობდი. მისი შვილები ვერა, ოლღა და ბორისი დაახლოებით ჩემი ტოლები იყვნენ. მე ხშირად დავიარებოდი ზაფხულობით „თეთრ სასახლეში“, იმართებოდა სეირნობა, საცეკვაო საღამოები, თბილისიდან მოდიოდნენ ბონდირევიანთ მეგობრები. მარიამ ივანეს ასული, ლამაზი სახის ქალი, რა თქმა უნდა, რუსულად აღზრდილი ძალიან თავაზიანი იყო. სტუმართმოყვარე და ღარიბი ხალხის შემბრალებელი. მე მინახავს მათ სახლში აკვარელით შესრულებული პორტრეტები ნაზიროვის, მისი მეუღლის და სხვ.“

ამონარიდი გიორგი მოზდოკელის მოგონებიდან „ილიას დროინდელი დუშეთი“

ქ. დუშეთის ცენტრალური მოედანი გასულ საუკუნეში

დუშეთის იაკობ ტრიპოლსკის სახელობის სახალხო თეატრი

დუშეთის სახალხო თეატრის დაარსების თარიღად მიჩნეულია 1880 წლის 20 იანვარი. სწორედ ამ დროს ქ. დუშეთში, ახლანდელ თეატრის ქუჩაზე, იოსებ მოზდოკელის სახლში, სადაც ერთდროს ილია ჭავჭავაძე ცხოვრობდა, მოაწყვეს სცენა და დადგეს გიორგი ერისთავის პიესა „გაყრა“. მთავარი როლი ცნობილ მსახიობს - ნატო გაბუნიას უთამაშია. თეატრის პირველ რეჟისორად დუშეთის მკვიდრი თამარ კვალიაშვილი ითვლებოდა. სწორედ მან შესთავაზა ნატო გაბუნიას დუშეთის დასთან ერთად ეთამაშა სპექტაკლში, სადაც თათელას როლი შეუსრულებია და მაყურებელი მოუხიბლავს საშემსრულებლო ოსტატობით.

თეატრის დაარსებას ბიძგი მისცა იმ დიდმა მოძრაობამ, რომელიც 70-იან წლებში გაიშალა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით და დაგვირგვინდა ქართული პროფესიული თეატრის დაარსებით.

სპექტაკლებში სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ და თეატრს ეხმარებოდნენ ქართველი სცენის დიდოსტატები: ვასო აბაშიძე, დუშეთში დაბადებული მაკო საფაროვა-აბაშიძისა, ნატო გაბუნია, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვალერიან გუნია, დიმიტრი ჩარკვიანი, ალექსანდრე კავსაძე, აკაკი ვასაძე, აკაკი ხორავა, ვასო გოძიაშვილი, იაკობ ტრიპოლსკი, ელენე ყიფშიძე და სხვები.

1959 წელს დუშეთის დრამატულ დასს ოფიციალურად მიენიჭა სახალხო თეატრის წოდება, ხოლო 2018 წლის 20 აპრილს - საქართველოს სახალხო არტისტის იაკობ ტრიპოლსკის სახელი.

მიმდინარე წლის იანვარში დუშეთის ისტორიული თეატრის დაარსებიდან 145 წელი შესრულდა.

ვაჟა-ფშაველას გარდაცვალებიდან 110-ე წელი...

ჩემი ვედრება

ღმერთო, მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიდან
მე შენი სახსოვარია!
გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრკელადა;
ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.
ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა;
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა;
არ წამიხდინო, მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!
მაშრომე საკეთილოდა,
თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი,
შვილთ საგმოდ არ გამიხადო
ჩემი მუდმივი სამყოფი.
გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,
მნათობს ტრფობისა შეშითა,
ნუ მავლევ ქვეყანაზედა
გაცივებულის ლეშითა, -
თვალებში მადლ-დაკარგულსა,
შუბლზე გაკრულის მეშითა.
ნუ დაუკარგავ ჩემს სატრფოს
მადლს, გულზე ცეცხლის მდებელსა,
ნუ დაუძვირებ ოცნებას,
შენს ხმას, სხივ-გამომღებელსა:
სიცოცხლედ უღირს ბეჩავსა,
ეძახის თავის მხლებელსა.
გულს დარდი გამიდიადე
იმ სანეტარო საგანზე,
დაწერე ფიქრი, ღრმა, მწვავე
ჩემის გონების საბანზე!..
გონებას ფიქრი სტანჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი...
ნუ დამასვენებ ნურა დროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული;
როცა გულს ცეცხლი მედება,
გონება მსჯელობს საღადა, -
მაშინ ვარ თავისუფალი,
თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.
მფარავდეს შენი მარჯვენა,
კალთა სამოსლის შენისა,
სანამ არ მოვა დრო-ჟამი
სულ ბოლოს ამოქშენისა.
სული - შენ, ლეში - მიწასა,
აღარა ვგლოვობ ამასა;
თევზი - წყალს, ცასა - ვარსკვლავი,
შვილი - დედას და მამასა.

1893 წ.

კეთილი ნაკვალევი...

„მოგონებებით მარადით საყვარელია დუშეთი...“

1955 წლის აგვისტოში გალაკტიონი დუშეთს ეწვია, მოინახულა ჩარგალი და დაესწრო „ვაჟაობას“. პოეტის დღიურს შემორჩა ჩანაწერები და შთაბეჭდილებები.

ჩანს, გენიალური მგოსანი მაინცდამაინც კმაყოფილი ვერ დარჩა ამ სტუმრობით.

ეს კი უმეტესად იმით ყოფილა გამოწვეული, რომ მის მიმართ ისეთი დიდი პატივი თუ ყურადღება ვერ გამოუჩენიათ (ყოველ შემთხვევაში, თავად ეს განცდა დარჩენია...).

აღსანიშნავია, რომ გამორჩეულად გოგლა ლეონიძეს ვერ დაუმსახურებია პოეტის მოწონება. ვერც გოგლას მიერ შერჩეულ მოლექსეს მოუხიბლავს („ერთი ძალზე კრეტინი ვიღაც, ლეონიძის მიერ მოწვეული განგებ, პირდაპირ დაუსრულებლად... კითხულობდა...“).

თუმცა საყვედურნარევ ჩანაწერებში, ჩვენდა სასიხარულოდ, საიმედოდ გაიჟღერებს სიტყვები: „ვახშამი. დიდებული საზოგადოება...“

თავად გიორგი ლეონიძეს კი გვარიანად მოულხენია.

სხვათა შორის, მათი ერთობლივი ფოტოს გარდა, შემორჩენილია ერთი ფოტოც, 1961 წლის ზაფხულისა, სადაც გოგლა ხელებგაშლილი ცეკვავს ჩარგალში, ვაჟას სამოსახლოში...

აი, ის სტრიქონებიც, რომელიც გალაკტიონმა ჩვეული ირონიით ჩაწერა დღიურში:

„მოგონებებით მარადით
საყვარელია დუშეთი,
ძაღლუკა არ დაგავიწყდესთ
გოგლათი მოკუნტრუშეთი...“

და იქვე:

„მან მოიარა ფშავეთი,
ვაჟას მიდამო - ჩარგალი,
ხელში სულ ყანწი ეჭირა
და ინდაურის ბარკალი...“ *(აღდგენილია ზოგიერთი სიტყვა.)*

* * *

გალაკტიონსა და გოგლა ლეონიძეს ცუდი ურთიერთობა არასოდეს ჰქონიათ.

ისინი ყოველთვის აფასებდნენ და პატივს სცემდნენ ერთმანეთს...

... და ეს მოგონებაც იმის შესახსენებლად იყოს, რომ დიდი ადამიანებისთვისაც არაა უცხო ადამიანურივე წყენა თუ სიხარული...

უმეტესად კი იმისთვის, რომ ბედნიერად ვთვლიდეთ თავს -

ისინი ხომ ღმერთმა ჩვენთვის გამოიმეტა და ამ დალოცვილ მიწა-წყალზე მიმოდიოდნენ...

გაზაფხული მოახლოვდა...

რედაქტორი
მიხეილ ჭონქაძე
✉ მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ.№27
(ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული).
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილში“

დუშეთის მაცნე
გამოდის 2007 წლის მარტიდან
დაბეჭდილ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი, ან _ მითითებული ორგანიზაცია